მახარაძელ მეჩაიეები, როგორც ყოველ წელს, ახლაც ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ სასაქონლოდ შესასრულონ მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს ნაკისრი ვალდებულებანი — მოკრიფონ და ჩაის შაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარონ 45 ათასი ტონა ფოთოლი, გეგმაზე 3 ათასი ტონით მეტი.

დარში თუ ავდარში გათენებისას ნახავთ პლანტაციაში შემოსულ ფოთოლს უდანაკარგოდ რომ იღებს ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს საშა ქურიძე. როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ხ. მუხამედოვი ამბობს, იგი თვითეული ბუჩქის მესაიდუმლეა, იცის მისი ავი და კარგი. გულმოდგინედ უვლის ბუჩქს და მთელ თავის ცოდნას ახმარს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლას. სწორედ ამიტომ მის მკერდს ამშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი. წელს ქურიძემ 0,5 ჰექტარზე 9 ათასი კილოგრამი ფოთოლი უნდა მოკრიფოს. უკვე მოკრიფა 3 ათასზე მეტი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ნატანები. ამ სოფლის სიმშვენიერე, კოლმეურნეობის დოვლათი — ცნობილია მთელ რესპუბლიკაში. კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე) წელს რაიონში ყველაზე მეტს — 3.450 ტონა ფოთოლს მოკრეფს.

ნატანებელმა კომკავშირელებმა წელს საუკეთესო ინიციატივა გამოიჩინეს. ისინი ამ დღეებში სოფლის კლუბში შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს ხუთწლედის დავალება შესასრულონ ოთხ წელიწადში, ხუთწლედის მანძილზე სამშობლოს მისცენ 11.200 ტონა ჩაის ფოთოლი, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ნატანებელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას მთელი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობამ დაუჭირა მხარი და მათი მაგალითისამებრ დაიწყო ლამჭრობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის.

რას აკეთებენ ინიციატორები პირობის შესასრულებლად? პირველობას არავის უთმობს მეორე ბრიგადის კომუნისტური შრომის კოლკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სვეტლანა ნიკოლაშვილი ხელმძღვანელობს. რგოლის წევრებმა მაისში, უკვე ორი თვის გეგმა შეასრულეს. ასევე კარგად მუშაობენ და ყოველდღე ჩაის ფოთოლს აბვაებენ იმ კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის წევრები, რომლის ხელმძღვანელები არიან ნინელი ცინტერაძე, ციური ქილფთარი, ლეილა ჩხარტიშვილი.

ყველა უქებს მარჯვენას სოციალისტური შრომის გმირს დარეჯან ტაკიძეს. ჩაის ნედლეულის კრეფის ყოველდღიურ დავალებას ოთხმაგად და უფრო მეტი გადაჭარბებით ასრულებენ სოციალისტური შრომის გმირები ლეილა გოგიტიშვილი, თამარ ცინტერაძე, ლიუდი ხუროძე, ახალგაზრდა მეჩაიე ნარგიზა კუჭაშვილი, იმ ბრიგადების წევრები, რომელთა ხელმძღვანელები არიან კუკური პატარავა, ილარიონ ტღენტი.

კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარზე მიიღო 7.086 კილოგრამი ფოთოლი. წელს 7.100 კილოგრამისათვის იბრძვიან. ჩაის ფოთლის მოღებას ემსახურება 25 პუნქტი.

მახარაძეში პირველად კომუნისტური შრომის სახელწოდება მელექედურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მიეკუთვნა. კანტორაში ნახავთ გარდამავალ წითელ დროშებს. ერთი დროშა — პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომისა — მიუღიათ ზუგდიდელებთან გამართულ ბრძოლებისათვის, რომლებთანაც მახარაძელები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში. მეორე დროშის — პარტიის მახარაძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშის მფლობელნი გახდნენ შარშან რაიონში ჩაის მოსავლიანობის სიუხვისათვის.

— მეცხრე ხუთწლედის მეორე წელსაც ამ დროშის შენარჩუნებას ვფიქრობთ, — გვიამბო კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა ბაბილოძემ. სახელოვანი მეჩაიეები ტრადიციას არც ახლა ღალატობენ. ყოველდღე აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს. ნასაკირალისა და ლიხაურის ჩაის ფაბრიკები მელექედურელებისაგან ყოველდღე გადასამუშავებლად ტონობით ხარისხოვან ჩაის ნედლეულს იღებენ.

მაისის პირველ ნახევარში პლანტაციები გვალვამ შეაწუხა. მელექედურელი მეჩაიეები ამას გულხელდაკრეფილნი როდი შესცქეროდნენ. სიძნელეების დასაძლევად ნასაკირალის სარწყავ ქსელზე მოუწყვიათ სარწყავი არხი და ხელოვნური დაწვიმების წესით დროულად მორწყეს პლანტაცია. ამ საქმეში კოლმეურნეობას კარგი საქმე გაუკეთა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ. 3 წელია მათი დახმარებით ირწყ�eba 100 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია.

კოლმეურნეობამ ბავშვიანი ქალებისათვის სპეციალურად მოაწყო საბავშვო ბაგა-ბაღი. ამან შესაძლებლობა მისცა 75 ბავშვიან ქალს ყოველდღე მონაწილეობა მიიღოს ფოთლის კრეფაში. ფოთოლს უდანაკარგოდ იღებენ ლენინის ორდენოსანი ნაზი ღლონტი, შრომის წმიელი დროშის ორდენოსანი ლენა შარაძე, ლენინის ორდენოსანი ნინო ღლონტი და ბევრი სხვა.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი თ. ზგელაძე, პარტკომის მდივანი დ. გოგიბერიძე) ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. შარშან სახელმწიფოს მისცეს 400 ათასი მანეთი მოგება. წელს ვალდებულებით 2.340 ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფონ. მაის-ივნისში — 1.126 ტონა. ვალდებულების ანგარიშში ყოველდღე 48-50 ტონა ჩაის ნედლეულს კრეფენ.

ფოთლის აღებაში კარგად მუშაობენ მექანიზატორები ს. ქათამაძე, შ. შამოიანი, ს. გიორგაძე, ვ. შედრინი და სხვები. ვ. შედრინი უკრაინელია. იგი რამდენიმე წელია მუშაობს საბჭოთა მეურნეობაში და სიყვარული დაიმსახურა მთელ რაიონში. მეურნეობაში 14 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ.

პლანტაციებში მომუშავეებისათვის რაიკავშირის გამგეობამ სპეციალურად მოაწყო საველე სასადილოები. დასვენების პერიოდში პლანტაციებში მეჩაიეებს ყველა პირობას უქმნიან ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ფოთლის კრეფასთან ერთად მთავარია მოკრეფილი ჩაის ნედლეულის დროულად გადაზიდვა და გადამუშავება. ამ საქმეს რაიონში 13 ფაბრიკა ემსახურება. ჯერჯერობით დაწინაურდა მახარაძის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი გ. ბაბილოძე), ეს ფაბრიკა კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებას ატარებს. წელს უნდა მიიღონ და გადამუშაონ 5.350 ტონა ფოთოლი და გამოუშვან 1.322 ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის პროდუქცია. ფაბრიკაში მიღებულია 1.200 ტონაზე მეტი ფოთოლი. სოფლების მერიის, ხვარბეთის, თხინვალის, მახარაძის, ბზვანის, გაღმა დაბაზუს კოლმეურნეობიდან და ნარეჯის საბჭოთა მეურნეობიდან მიღებულ ჩაის ნედლეულს ფაბრიკა შეუფერხებლად ამუშავებს.

რა დაამშავა ჩაის მკრეფავმა?

ფაბრიკის კოლექტივმა მოსკოვში უკვე გაგზავნა 45 ტონაზე მეტი ჩაის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

დიდი რაოდენობით ამუშავებენ ნედლეულს ნატანების (დირექტორი ი. მეფარიშვილი), ლიხაურის (დირექტორი შ. ჯანუყაძე) და სხვა ჩაის ფაბრიკები. მაგრამ არის მთელი რიგი სიძნელეები, რომელთა დაუძლეველობა გამოიწვევს მოკრეფილი ფოთლის დაზიანებას და ჩაის ნედლი მასალის გადაწვას. მაგალითად, არსებულ 13 ფაბრიკას ნორმალური მუშაობის პირობებში შესაძლებლობა აქვს ყოველდღე გადამუშაოს 700 ტონამდე ჩაის ნედლეული. წელს მახარაძელმა მშრომელებმა ისე მოუარეს პლანტაციას, რომ ზოგჯერ 800-1000 ტონამდე ფოთოლს კრეფენ. ამდენი ნედლი მასალის გადამუშავებას ყველგან ვერ ასწრებენ. ამიტომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი ფოთოლი ერთი-ორი დღე პუნქტშია. ზოგჯერ ჩაის ნედლი მასალა ღია ცის ქვეშ წვიმაში მინდორშია ყრია. მაგალითად, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში 23 მაისს მოკრეფილი 43 ტონა ფოთოლი ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ გადასამუშავებლად წაიღო მხოლოდ 25 მაისს. 24 მაისის მოკრეფილი 46 ტონა ფოთოლი 25 მაისისათვის მეურნეობის მინდორში წვიმაში ეყარა. მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა თ. მგელაძემ გულისტკივილით გვითხრა: საერთოდ მახარაძეულებმა და მათთან ერთად ჩვენი მეურნეობის «მეჩაიეებმა» წელს იყოჩაღეს, ფოთლის მოსავალი დაანგავეს. ასეთ მოსავალს მოველოდით და ვიცოდით, რომ ფაბრიკები მის გადამუშავებას დროულად ვერ მოასწრებდნენ. ამიტომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის ტრესტის ხელმძღვანელობის წინაშე დროულად დავაყენეთ საკითხი, რომ მეურნეობაში 5 ადგილას მაინც გაეხსნათ ფოთლის მიმღები პუნქტები. ეს იმიტომ, რომ შესაძლებლობა გვქონოდა მოკრეფილი ფოთლის გადაუნიდაობის შემთხვევაში ჩაის ნედლი მასალა მინდორში (ის ქვეშ არ დაგვეტოვებინა და პუნქტში გავეშალა, მოგვეფლო. სამწუხაროდ, შედეგს ვერ მივაღწიეთ.

დაინტერესდით. მეურნეობის დირექტორის გულისტკივილი სიმართლეს შეიცავს. სპეციალისტებთან ერთად დავადგინეთ, რომ პუნქტის გაუხსნელობით მეურნეობა ყოველდღე კარგავს მოკრეფილი ფოთლის დაახლოებით 15 პროცენტს, ე. ი. მეურნეობის მიერ 5-6 ტონამდე მოკრეფილ ფოთოლს ფაბრიკაში გადაუზიდაობის გამო ყოველდღე შეშრობით წონა აკლდება და იკარგება. ამით მეურნეობას ფოთლის მოზღვავების პერიოდში 100 ტონამდე ჩაის ფოთოლი ეკარგება. ეს კი 90 ათასი მანეთი ღირებულებისაა.

უფრო მეტიც: მეურნეობას შესაძლებლობა აქვს თავისი ხარჯით ააგოს ფოთლის მიმღები პუნქტები. განა არ ხჯობს წყალში არ ჩაეყაროთ 90 ათასი მანეთის ჩაის ნედლეული, მისი ნახევარი მოვახმაროთ პუნქტის აგებას?

ამას რა ფიქრი და გეგმები უნდა?! ხალხმა ფოთოლი დაახვავა, ის კი გადაუმუშავებლობით ფუჭდება, რა დაამშავა მომყვანმა?

ასეთი ფაქტები ლაითურის, ნარეჯის საბჭოთა მეურნეობებშიც არის.

მახარაძის რაიონი რესპუბლიკაში ცნობილია მძლავრი ეკონომიკით, სიმდიდრით, შრომის ბარაქით, მაღალი კულტურით. აქაური მშრომელები რესპუბლიკის მეხუთედზე მეტ ჩაის ფოთოლს აძლევენ საშობლოს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში მეჩაიეთა მხარდამხარ იღებენ მოსავალს მათი ლითონის თანამშრომლები, მსოფლიოში პირველ „საქართველოს“ მარკის ჩაის საკრეფი მანქანები, დაცადდა, მშრომელი ხალხის მიერ მოყვანილი მოსავლის დაბინავებაში შეფერხება დაუშვებელია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ შესაფერი, რომ ჩვენი მიზეზით არ კოჭაფეფეთ მოყვანილი ფოთოლი, დროულად მოვაწყოთ მისი გადამუშავება.

შ. ბოგბუა.
ბ. ჩხაიძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის პლანტაციებში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხსოვნა გულისა

სურათებზე: შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აგებული ობელისკი (მარცხნივ) და მუზეუმი სოფელ არბოშიკში.

ვ. ბოგბოხიას და ბ. ბიბაურის ფოტო.

ამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკიდან სამშობლოს დასაცავად ექვსასი ვაჟკაცი გაგზავნეს. ამათგან ნახევარზე მეტი აღარ დაბრუნებია მშობლიურ კერას. გარდასულო წლები და მშვიდობიანი ცხოვრების მჩქეფარე დღეები ვერ დაავიწყებს ხოფელს მათს სახელებს. მადლიერმა ხალხმა გმირებს სამარადისო ძეგლი აუგო.

ხოფლის აღმოსავლეთით, ტყით დაფარულ მთის კორტოხზე აღმართა თვრამეტმეტრიანი ობელისკი, რომელსაც კარგად ერწყმის მუზეუმის ლამაზი შენობა. მუზეუმის გარეხედზე გამოსახულია უცნობი ქართველი ჯარისკაცი, დარბაზში კი სამასი შინმოუსვლელი ვაჟკაცის სურათებია. მათსავე სახელზე ობელისკის ირგვლივ დარგულია სამასი ძირი მცენარე. იქვეა მოზაიკური კომპოზიცია, რომლის თემად არქიტექტურული ანსამბლის პროექტის ავტორს მხატვარ შ. ციციშვილს სამშობლო და გამარჯვება აუღია.

ამ ერთიან შენობაში მოთავსებულია თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ინსტიტუტი სულ მალე იზეიმებს ასაკ სასწავლო კორპუსში გადასვლას. ცხადია, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს უნდა დარჩეს მთლიანად კახეთის ყოფილი სამეფო სასახლის ტერიტორია და მასზე არსებული ნაგებობანი.

ეს კი აუცილებლად დააყენებს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლის რესტავრაციასთან იმ სახით, რომელიც მას თავდაპირველად ჰქონდა. სამეფო დარბაზი და პალატები რესტავრირებულ უნდა იქნას შემონახულ ჩანახატთა და აღწერილობათა შესაბამისად.

1913 წელს აგებული სასკოლო კორპუსი კაპიტალური ნაგებობაა და ჯეროვანი რემონტის შემდეგ შეიძლება მოლიანად გამოყენებულ იქნას სამუზეუმო მასალების და საბჭოთა პერიოდის ამსახველ საექსპოზიციო დარბაზებად.

სასახლის ეზოში სხვა ნაგებობებიც არის. ერთში ამჟამად მეორე საშუალო სკოლაა მოთავსებული. უკვე გადაწყვეტილია, რომ მეორე საშუალო სკოლისათვის შენობა აიგება ქალაქის ერთ-ერთ უბანში. ამ სკოლის ახალნაგები შენობა ისტორიული თვალსაზრისით არ წარმოადგენს საყურადღებო რამეს, — ის შემდეგ არის აშენებული და თანაც ძალიან პრიმიტიულად. მისი ერთი ნაწილი (აღმოსავლეთის მხრიდან) ასაღებია, რადგან ძალიან უხარისხო ნაგებობაა და მთელ ანსამბლში დისონანსი შეაქვს. ხოლო მეორე, მთავარი ნაწილი, ჩვენი აზრით, უნდა დარჩეს ლიტერატურული მუზეუმის მოსაწყობად სამეცნიერო ბიბლიოთეკიურთან. აქვე გაამართება საინფორმაციო სალექციო დარბაზი. საამისო შესაძლებლობას იძლევა თელავის მდიდარი ლიტერატურული წარსული. თელავთან დაკავშირებულია ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება.

სასახლის ეზოში არსებობს აგრეთვე შენობა, რომელშიც ამჟამად მოთავსებულია პირველი საშუალო სკოლა. ეს შენობა ძველია. ჯერ კიდევ 1758 წელს აქ გაიხსნა საფილოსოფიო-სათეოლოგიო სკოლა, ხოლო 1782 წელს სემინარია. უფრო გვიან ამ შენობაში ისევ აღდგენილ იქნა სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლობდნენ: ვაჟა-ფშაველა, ირ. ეკიდოშვილი, კიკნა-ფშაველა და სხვა. აქ მოღვაწეობდნენ: ვასილ ბარნოვი, ია ეკალაძე, ნიკ. სულხანიშვილი, ზაქ. ჩხეიკაძე და სხვ. ასევ მომავლისათვის სასურველია გათვალისწინებულ იქნას პირველი საშუალო სკოლისათვის შესაფერი შენობის აგება. მაშინ ასეთანდელ შენობაში საყვარელი მიზანშეწონილი იქნება გაიხსნას მუზეუმის ერთი განყოფილება, რომელიც ასახავს კახეთში სახალხო განათლებისა და კულტურის ისტორიას.

კახეთის ყოფილი სამეფო სასახლის გალავანს გარეთ 1971 წლის აპრილში საზეიმოდ გაიხსნა გამოჩენილი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის ერეკლე მეორის ძეგლი. ეს თვალსაჩინო ისტორიული და საშვილიშვილო საქმე მოითხოვს სრულყოფილად დაგვიგრგვინებას. ამის დადასტურება იქნება ყოფილი სასახლის ანსამბლის რესტავრაცია თვითმყოფ ხელოვნების ძეგლად და გარდასულ დროთა ამსახველ მუზეუმად.

პროფ. ნ. ძოროუა.
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

დოც. ა. გვენცაძე.
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

საშვილიშვილო საქმე

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კულტურის ძეგლთა მდგომარეობის და მათი დაცვის გაუმჯობესების შესახებ“. ეს დოკუმენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი მშობლიური პატრიოტის ზრუნვას წარსულის კულტურული ღირებულებებისათვის.

საქართველოში არის ბევრი ისეთი ძეგლი, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი საშობლოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი მომენტები. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია კახეთის ყოფილი სამეფო სასახლის არქიტექტურული ანსამბლი თელავში.

ხელავს, როგორც სამეფო რეზიდენციის ქალაქს, თავისი ციტადელი და სასახლე ჩქონდა, რომელიც დღემდე კარგად არის შემონახული.

რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველ ათეულ წლებში სასახლის შენობა უქმად იყო. გასული საუკუნის 60-იან წლებში ანა მუხრან-ბატონის ქალიშვილმა, დავით ჭავჭავაძის მეუღლემ იქ, წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი დააარსა. პანსიონატის საჭიროებისათვის სასახლეს მეორე სართული დაუშენა. ამრიგად, დაირღვა ისტორიული ძეგლის პირველნდელი სახე. ეზოში დასავლეთის მხრიდან, 1913 წელს სასკოლო კორპუსი აშენდა და დერეფნებითა და კიბეებით შეუერთდა სასახლის შენობას. ასე იქცა ერთიან შენობად სამი სხვადასხვა დროს ნაგებობა. არქიტექტურული თვალსაზრისით, ის, რაც სასახლეს სხვადასხვა დროს დაშენდა და მიუშენდა, საგანგებო უკარგავს თავის პირველნდელ სახეს ამ უნიკალურ ნაგებობას.

საკულტურო ობიექტი 72

ერთი ზერმინისათვის

ბაორაგულებული კალმახის გამო

ყალმახი და ორაგული ბევრს ისევე განსხვავებულ ფორმებად მიაჩნია, როგორც ერთი შეხედვით, ერთიმეორის მსგავსი კატა და ვეფხვი. სინამდვილეში კალმახი და ორაგული ერთი სახეობაა, ისინი ერთიმეორისგან განსხვავდებიან განსაკუთრებით სიდიდითა და შეფერილობით. ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ კალმახი ძირითადად ცივი, ჩქარი მდინარის ბინადარია, სადაც ზრდა აქვს ნაკლები, ხოლო ორაგული უმეტეს დროს ცხოვრობს ზღვაში, სადაც მისი ცხოვრების პირობები განსხვავდება კალმახის ცხოვრების პირობებისაგან — წყლის ქიმიური შემადგენლობით, ტემპერატურითა და, რაც მთავარია, საკვებით. ზღვა ორაგულისათვის მხოლოდ საკვების მოსაპოვებელი გარემოა. გასამრავლებლად ადის მდინარეში, იქ, სადაც კალმახი ბინადრობს. ორაგულისა და კალმახის გამრავლება იწყება ეროვნულად— ოქტომბრიდან. გამრავლების შემდეგ ორაგული ჩადის ისევ ზღვაში საკვებად.

მდინარეში ორაგულის ქვირითიდან გამოჩეკილი ლიფსიტები იქვე რჩებიან უმეტესად 3 წლამდე, შემდეგ შიპკვებიან მდინარის ფინებას და ჩადიან ზღვაში, იქ იკვებებიან ჭარბად, იზრდებიან სწრაფად და ორი-სამი წლის შემდეგ გაზაფხულზე (მარტიდან), როცა წყალი აიმღვრევა, იწყვეტენ ასეულას მდინარეში, მიპყვებიან იმ ადგილებისაკენ, სადაც გამოჩეკენენ, იქ შემოდგომამდე მდინარის პირობებში მწიფდებიან სქესობრივად და იწყვეტენ გამრავლებას.

მდინარეში კალმახისა და ორაგულის მოზარდი პირველ ხანებში არ განსხვავდება ერთიმეორისაგან, ხოლო შემდეგ საორაგულე მოზარდის უმრავლესობაში თავს იჩენს კარგვეული ცვლილებები: სხეული უხდება შედარებით სხლარტი, მოგრძო, ვადაკიკავს ფოლადის ფერი, კალმახთან შედარებით დუნე ხდება — მდინარის წინააღმდეგობას ნაკლებად სძლევს, რის გამო ადგილად მიპყვება დინებას; ეს გამოწვეულია ზღვის პირობებით, რაც მოზარდებს გადაეცემა შთაბეჭდილებისაგან. ორაგულის ნამრავლიდან ნაწილი რჩება მდინარეში, როგორც კალმახი.

საქართველოს მდინარეებში ენგურში, კოდორში, ბზაფში, ჭოროხში კალმახი ვრცელდება მთელ სიგრძეზე. იქ კალმახი ორაგულის ნამრავლთან ერთად ჩადის ზღვაში — იკვებება ინტენსიურად, იზრდება და უფრო მეტი გადაჭარბებით ასრულებენ სოციალისტური შრომის გმირები ლეილა გოგიტიშვილი, თამარ ცინტერაძე, ლიუდი ხუროძე, ახალგაზრდა მეჩაიე ნარგიზა კუჭაშვილი, იმ ბრიგადების წევრები, რომელთა ხელმძღვანელები არიან კუკური პატარავა, ილარიონ ტღენტი.

კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარზე მიიღო 7.086 კილოგრამი ფოთოლი. წელს 7.100 კილოგრამისათვის იბრძვიან. ჩაის ფოთლის მოღებას ემსახურება 25 პუნქტი.

მახარაძეში პირველად კომუნისტური შრომის სახელწოდება მელექედურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მიეკუთვნა. კანტორაში ნახავთ გარდამავალ წითელ დროშებს. ერთი დროშა — პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომისა — მიუღიათ ზუგდიდელებთან გამართულ ბრძოლებისათვის, რომლებთანაც მახარაძელები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში. მეორე დროშის — პარტიის მახარაძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშის მფლობელნი გახდნენ შარშან რაიონში ჩაის მოსავლიანობის სიუხვისათვის.

— მეცხრე ხუთწლედის მეორე წელსაც ამ დროშის შენარჩუნებას ვფიქრობთ, — გვიამბო კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა ბაბილოძემ. სახელოვანი მეჩაიეები ტრადიციას არც ახლა ღალატობენ. ყოველდღე აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს. ნასაკირალისა და ლიხაურის ჩაის ფაბრიკები მელექედურელებისაგან ყოველდღე გადასამუშავებლად ტონობით ხარისხოვან ჩაის ნედლეულს იღებენ.

მაისის პირველ ნახევარში პლანტაციები გვალვამ შეაწუხა. მელექედურელი მეჩაიეები ამას გულხელდაკრეფილნი როდი შესცქეროდნენ. სიძნელეების დასაძლევად ნასაკირალის სარწყავ ქსელზე მოუწყვიათ სარწყავი არხი და ხელოვნური დაწვიმების წესით დროულად მორწყეს პლანტაცია. ამ საქმეში კოლმეურნეობას კარგი საქმე გაუკეთა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ. 3 წელია მათი დახმარებით ირწყვება 100 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია.

კოლმეურნეობამ ბავშვიანი ქალებისათვის სპეციალურად მოაწყო საბავშვო ბაგა-ბაღი. ამან შესაძლებლობა მისცა 75 ბავშვიან ქალს ყოველდღე

რა დაამშავა ჩაის მკრეფავმა?

◆

მონაწილეობა მიიღოს ფოთლის კრეფაში. ფოთოლს უდანაკარგოდ იღებენ ლენინის ორდენოსანი ნაზი ღლონტი, შრომის წმიელი დროშის ორდენოსანი ლენა შარაძე, ლენინის ორდენოსანი ნინო ღლონტი და ბევრი სხვა.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი თ. ზგელაძე, პარტკომის მდივანი დ. გოგიბერიძე) ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. შარშან სახელმწიფოს მისცეს 400 ათასი მანეთი მოგება. წელს ვალდებულებით 2.340 ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფონ. მაის-ივნისში — 1.126 ტონა. ვალდებულების ანგარიშში ყოველდღე 48-50 ტონა ჩაის ნედლეულს კრეფენ.

ფოთლის აღებაში კარგად მუშაობენ მექანიზატორები ს. ქათამაძე, შ. შამოიანი, ს. გიორგაძე, ვ. შედრინი და სხვები. ვ. შედრინი უკრაინელია. იგი რამდენიმე წელია მუშაობს საბჭოთა მეურნეობაში და სიყვარული დაიმსახურა მთელ რაიონში. მეურნეობაში 14 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ.

პლანტაციებში მომუშავეებისათვის რაიკავშირის გამგეობამ სპეციალურად მოაწყო საველე სასადილოები. დასვენების პერიოდში პლანტაციებში მეჩაიეებს ყველა პირობას უქმნიან ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ფოთლის კრეფასთან ერთად მთავარია მოკრეფილი ჩაის ნედლეულის დროულად გადაზიდვა და გადამუშავება. ამ საქმეს რაიონში 13 ფაბრიკა ემსახურება. ჯერჯერობით დაწინაურდა მახარაძის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი გ. ბაბილოძე), ეს ფაბრიკა კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებას ატარებს. წელს უნდა მიიღონ და გადამუშაონ 5.350 ტონა ფოთოლი და გამოუშვან 1.322 ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის პროდუქცია. ფაბრიკაში მიღებულია 1.200 ტონაზე მეტი ფოთოლი. სოფლების მერიის, ხვარბეთის, თხინვალის, მახარაძის, ბზვანის, გაღმა დაბაზუს კოლმეურნეობიდან და ნარეჯის საბჭოთა მეურნეობიდან მიღებულ ჩაის ნედლეულს ფაბრიკა შეუფერხებლად ამუშავებს.

ფაბრიკის კოლექტივმა მოსკოვში უკვე გაგზავნა 45 ტონაზე მეტი ჩაის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

დიდი რაოდენობით ამუშავებენ ნედლეულს ნატანების (დირექტორი ი. მეფარიშვილი), ლიხაურის (დირექტორი შ. ჯანუყაძე) და სხვა ჩაის ფაბრიკები. მაგრამ არის მთელი რიგი სიძნელეები, რომელთა დაუძლეველობა გამოიწვევს მოკრეფილი ფოთლის დაზიანებას და ჩაის ნედლი მასალის გადაწვას. მაგალითად, არსებულ 13 ფაბრიკას ნორმალური მუშაობის პირობებში შესაძლებლობა აქვს ყოველდღე გადამუშაოს 700 ტონამდე ჩაის ნედლეული. წელს მახარაძელმა მშრომელებმა ისე მოუარეს პლანტაციას, რომ ზოგჯერ 800-1000 ტონამდე ფოთოლს კრეფენ. ამდენი ნედლი მასალის გადამუშავებას ყველგან ვერ ასწრებენ. ამიტომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი ფოთოლი ერთი-ორი დღე პუნქტშია. ზოგჯერ ჩაის ნედლი მასალა ღია ცის ქვეშ წვიმაში მინდორშია ყრია. მაგალითად, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში 23 მაისს მოკრეფილი 43 ტონა ფოთოლი ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ გადასამუშავებლად წაიღო მხოლოდ 25 მაისს. 24 მაისის მოკრეფილი 46 ტონა ფოთოლი 25 მაისისათვის მეურნეობის მინდორში წვიმაში ეყარა. მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა თ. მგელაძემ გულისტკივილით გვითხრა: საერთოდ მახარაძეულებმა და მათთან ერთად ჩვენი მეურნეობის «მეჩაიეებმა» წელს იყოჩაღეს, ფოთლის მოსავალი დაანგავეს. ასეთ მოსავალს მოველოდით და ვიცოდით, რომ ფაბრიკები მის გადამუშავებას დროულად ვერ მოასწრებდნენ. ამიტომ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის ტრესტის ხელმძღვანელობის წინაშე დროულად დავაყენეთ საკითხი, რომ მეურნეობაში 5 ადგილას მაინც გაეხსნათ ფოთლის მიმღები პუნქტები. ეს იმიტომ, რომ შესაძლებლობა გვქონოდა მოკრეფილი ფოთლის გადაუნიდაობის შემთხვევაში ჩაის ნედლი მასალა მინდორში (ის ქვეშ არ დაგვეტოვებინა და პუნქტში გავეშალა, მოგვეფლო. სამწუხაროდ, შედეგს ვერ მივაღწიეთ.

დაინტერესდით. მეურნეობის დირექტორის გულისტკივილი სიმართლეს შეიცავს. სპეციალისტებთან ერთად დავადგინეთ, რომ პუნქტის გაუხსნელობით მეურნეობა ყოველდღე კარგავს მოკრეფილი ფოთლის დაახლოებით 15 პროცენტს, ე. ი. მეურნეობის მიერ 5-6 ტონამდე მოკრეფილ ფოთოლს ფაბრიკაში გადაუზიდაობის გამო ყოველდღე შეშრობით წონა აკლდება და იკარგება. ამით მეურნეობას ფოთლის მოზღვავების პერიოდში 100 ტონამდე ჩაის ფოთოლი ეკარგება. ეს კი 90 ათასი მანეთი ღირებულებისაა.

უფრო მეტიც: მეურნეობას შესაძლებლობა აქვს თავისი ხარჯით ააგოს ფოთლის მიმღები პუნქტები. განა არ ხჯობს წყალში არ ჩაეყაროთ 90 ათასი მანეთის ჩაის ნედლეული, მისი ნახევარი მოვახმაროთ პუნქტის აგებას?

ამას რა ფიქრი და გეგმები უნდა?! ხალხმა ფოთოლი დაახვავა, ის კი გადაუმუშავებლობით ფუჭდება, რა დაამშავა მომყვანმა?

ასეთი ფაქტები ლაითურის, ნარეჯის საბჭოთა მეურნეობებშიც არის.

**მახარაძის რაიონი რესპუბლიკაში ცნობილია მძლავრი ეკონომიკით, სიმდიდრით, შრომის

კინომოყვარულთა სასალონო სტუდია

თელავი. (საკ. კორ.). ხუთ წელიწადზე მეტია, რაც შემოქმედებითს მუშაობას ეწევა კულტურის სახლთან არსებული კინომოყვარულთა წრე (ხელმძღვანელი მ. ფრანგიშვილი, რეჟისორი დ. კეკელაძე).

ამ დღეებში კულტურის სახლში სასიხარულო ცნობა მიიღეს. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით თელავის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულ კინომოყვარულთა წრეს მიეკუთვნა „კინომოყვარულთა სახალხო სტუდიის“ წოდება.

ვირტუოზული ვიოლინო...

თუშმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იმხანად სრულიად უცნობმა ამერიკელმა პიანისტმა ვან კლიბერნმა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში პირველი საერთაშორისო „ნათლობა“ მიიღო. სტუმართმოყვარე მასპინძლებს შორის იყო ერთი პატარა გოგონა, ლიანა ისაკაძე. ვან კლიბერნისა და ცეროდენა ლიანას იმდროინდელი ფოტოსურათი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე სულ ახლახან გამოქვეყნდა. ვან კლიბერნმა მოსკოვში ამასწინანდელი გასტროლების დროს ახლა უკვე სახელმოხვეჭილი მუსიკოსი, ქართველი მევიოლინე მოიკითხა. ჩვენც აღგვეძრა სურვილი გაზეთის მკითხველებისთვის გეეამბნა ლიანა ისაკაძის შესახებ.

დღეს ქართველი მევიოლინე მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია და კონცერტებს მართავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ადვილი არ არის ასე უცბად მოინდომოთ და შესვდეთ ლიანას, მაგრამ როცა დაგურეკეთ, იღბლად შინ დაგვხვდა.

ჩვენი საუბარი მოკლე აღმოჩნდა, რადგან ლიანა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც საკუთარ თავზე უხალისოდ გვიამბობენ. და მაინც ბევრი საყურადღებო ამბავი შეეტყვნო. მარტო წლევანდელი წლის ამ რამდენიმე თვეში ლიანამ ხუთი ქვეყანა მოიარა: პოლანდია, ავსტრია, პოლონეთი, შვეიცია, ფინეთი. ამ ქვეყნების საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში ლიანა სოლო კონცერტებით გამოდიოდა. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია: თაქთაქიშვილის სამი პიესა, ბრამსის, ბეთოვენის, ფრანკის, დებიუსის სონატები, სიბელიუსის, ჩაიკოვსკის კონცერტები, პაგანინის კამპანელა...

ქართველ მუსიკოსს ტაშს უკრავდა ჰელსინკი, ტურკუ და ტამპერე, ამსტერდამი და ჰაგა, ვარშავა და ვროცლავი, სტოკჰოლმი და მალმიო...

დიდი ასპამბლების, თეატრალური დასების გასტროლებს ფირებზე აღბეჭდავენ. მათ კვალდაკვალ მიაყვებიან ჟურნალისტები, იქმნება თავისებური ისტორია, ცალკეული შემსრულებლები ამას შედარებით მოკლებულნი არიან, თუმცა რჩება პრესა, რომელიც ზუსტ შეფასებას აძლევს ამა თუ იმ შემსრულებლის ხელოვნებას.

ჩვენს წინ არის უცხოური გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც ლიანა ისაკაძის გასტროლებს ფართოდ აშუქებენ, და გადავწყვიტეთ მოვიყვანოთ ნაწყვეტები რეცენზიებიდან უკომენტაროდ.

... ახალგაზრდა საბჭოთა მევიოლინე ლიანა ისაკაძე ჩამოყალიბებული, დამთავრებული შემსრულებელია, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს ბრამსის მუსიკის არსს.

... ლიანა ისაკაძის გამოსვლა არადის ფილარმონიაში ჭეშმარიტი აღმოჩენა იყო. მან შეასრულა ბრამსის კონცერტი ორკესტრთან ერთად, კონცერტი, რომელიც ურთულესია ყველა დროის სავიოლინო ლიტერატურაში. საშემსრულებლო ოსტატობისა და ტექნიკის თვალსაზრისით ლიანა ისაკაძემ ნამდვილ ტრიუმფს მიაღწია. ეს კონცერტი დიდი ხელოვნების ლამაზი მოვლენა იყო...

... ფინეთში საგასტროლო მოგზაურობისას მადლობა და ქება ყველაზე მეტად დაიმსახურა ლიანა ისაკაძემ. სავსე დარბაზი ლიანას ვირტუოზული ვიოლინოთი „ხუნჭავდა“...

... როცა ლიანა ისაკაძე უკრავს, არ არსებობს არავითარი სტანდარტული შკალები და კლასიკური სქემები. იგი აფერადებს, აცოცხლებს კონტურებს და ამასთან ერთად სტილსაც იცავს...

... ნათელი, ლამაზი და საოცრად ძლიერი ვიოლინოს ბგერა და ამასთან ერთად მუსიკალური სინატიფე რაღაც ზებუნებრივი საზომებისა გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ჭეშმარიტად უდიდეს ხელოვანთან...

გაზეთი „ვასაბლადეტ“ (ფინეთი)

... ნახევარი საათის მანძილზე ამ ვიოლინოს ფენომენმა მოხიბლა მუსიკის გულუბრყვილო მოყვარული, აალელვა მცოდნე და იარაღი დაეარეკინა კრიტიკოსებს...

... ისაკაძის წარმოშობა შემთხვევითი არ არის — ეს ხასიათის თვითგამორკვევაა, ეს არის ნელალზე მონარნარე გული, ფესვმაგარი მუხა. ისაკაძეს მივესალმებით როგორც ჩვენი დროის მენუხინს...

გაზეთი „ვას ლიას“ (ჰოლანდია)

... უმაღლესი კლასის ვირტუოზი. როცა იგი უკრავს, სირთულე იკარგება, თავს ბგერების საოცარ სამყაროში გრძნობთ.

... ახალგაზრდა მუსიკოსის ლიანა ისაკაძის კონცერტზე მსმენელმა მკაფიოდ იგრძნო, რომ უმენს ვიოლინოს ხელოვნების აბსოლუტურ მწვერვალს...

გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტ“ (შვეცია).

— თქვენი მომავალი გეგმები?

ტელეფონში ლიანა ისაკაძის მხიარული ხმა ისმის...

— წელს ავსტრიაში გამართება ყველა თაობის მევიოლინეთა კონკურსი. მე უკვე მივიღე მიწვევა. შემდეგ ალბათ შვეიცარიაში მომიწევს წასვლა. შედარებით განსხვავებული პროგრამა მომაქვს. გთხოვთ „კომუნისტის“ მკითხველებს გადასცეთ ჩემი გულითადი სურვილები — იყვნენ ჯანმრთელად, მხიარულად.

ზ. რცხილაძე.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქვემოთ — მარცხნიდან — დირიჟორი მ. შოსტაკოვიჩი, ლ. ისაკაძე, პოლანდიელი მუსიკისმცოდნე ნ. შკალიკოვა და დირიჟორი ე. სვეტლანოვი პოლანდიაში; ზემოთ: ლიანა ისაკაძის უცხოური სარეკლამო ფოტო.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲔᲑᲖᲔ

Ზ. ᲜᲐᲖᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ

გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი პეტრეს-ძე ნაზარიშვილი.** ხუთ ათეულ წელზე მეტი ეწეოდა იგი ნაყოფიერ საექიმო, პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

1916 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გ. ნაზარიშვილი დანიშნეს სამხრეთის ფრონტის მე-4 საკავალერიო დივიზიის პოლკის ექიმად, ხუთი წლის შემდეგ კი მას ვხედავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის რენტგენოლოგიის კათედრაზე, სადაც 11 წელიწადი იმუშავა. გერმანიაში რენტგენო-რადიოლოგიაში კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ გ. ნაზარიშვილი წარმატებით აბარებს სადოქტორო გამოცდებს, ხელმძღვანელობს რენტგენოლოგიის საფაკულტეტო კურსს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. იყო რენტგენოლოგიის კათედრის გამგე. 30 წლის განმავლობაში იგი ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა, შემდეგ 15 წლის განმავლობაში სათავეში ედგა რესპუბლიკური რენტგენოლოგიური სადგური.

1944 წლიდან გ. ნაზარიშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი რენტგენოლოგია, ხოლო შემდეგ — მთავარი რადიოლოგი, მრავალი წლის განმავლობაში იყო სსრ კავშირის კიბოს საწინააღმდეგო კომიტეტის წევრი და კიბოს საწინააღმდეგო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

„მეხუ-ბარძაყის სახსრის ანკილოზური თავისებურებანი რენტგენოლოგიურ გამოსახულებაში“ — ასეთი იყო გ. ნაზარიშვილის სადოქტორო დისერტაციის თემა, რომელიც მან წარმატებით დაიცვა. ამ ფუნდამენტური ნაშრომიდან ავტორი ავტორიტეტად ითვლებოდა ორთოპედ-ტრავმატოლოგთა, ანესთეზიოლოგთა, ფიზიკოსთა, სამედიცინო ლიტერატურაში არსებული ხარვეზი. განსვენებული ცნობილია როგორც რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სსრ კავშირში. იგი იყო დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის რენტგენოლოგიური ნაწილის თანამავტორი, საქართველოს **სსრ** მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული იზოტოპებისა და გამოსხივებათა მუდმივი კომისიის წევრი, რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარე, რენტგენოლოგ-რადიოლოგთა საკავშირო საზოგადოების წევრი.

მეცნიერის კალამს ეკუთვნის 84 ნაშრომი რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის მრავალ აქტუალურ საკითხებზე. პროფესორ გ. ნაზარიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულია 35 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია.

გ. ნაზარიშვილი იყო ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ევროპის მსოფლიო კონფერენციების და მსოფლიოს სხვადასხვა ყრილობებისა და სიმპოზიუმების მონაწილე.

გ. ნაზარიშვილის ინიციატივით 1958 წელს თბილისში ჩამოყალიბდა რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. იგი ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „სამამული ნაშრომის“ ორი ორდენით.

ოჯაწლმოსილი მეცნიერის, ბულისხმიერი ამხრდელის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ გ. ნაზარიშვილის სხეული სამოდამოდ დარჩება რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა საზოგადოება.

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ტოკიოში იაპონურ ენაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ეხოეტიკის განყოფილების გამგის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ზ. კაკაბაძის წიგნი „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲠᲝᲛᲠᲝᲒᲝ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ“ (მთარგმნელი ტ. კახაი). პირველად ეს წიგნი გამოქვეყნდა რუსულ ენაზე თბილისში 1970 წელს (გამომცემლობა „მეცნიერება“).

იაპონურ თარგმანს დართული აქვს მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია: „ამ პირველხარისხოვან საბჭოთა ფილოსოფიურ ნაშრომებს არაჩვეულებრივი მომხიბლაობა ახასიათებს. აქ ჩვენ ვხედავთ მოაზროვნე ფილოსოფოსის ფიგურას.



ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲐᲨᲘ

თბილისელი „შიხეილ ლერმონტოვი“, ხაზღვარგარეთელი ტურისტებით დაგვირთული, პორტუგალიის ნაპირებთან იმყოფებოდა. 28 მაისი ნათელი, მზიანი დღე გათენდა. ოკეანის ოთხ მეტრამდე სიმაღლის ტალღები ხომალდს ნელა არწევდა. გემის ბოგუირაში მორიგეობდნენ კაპიტნის მეორე თანაშემწე ვლადიმერ სტეპანენკო და მესაქე თანაშემწე ანატოლი კუზნეცოვი. უცებ ტელეფონი აწკრიალდა. ეკიპაჟის წევრებმა ეკვენი პრინცმა და პეტრე კირინენკომ მოახსენეს: „ბორტს იქით ადამიანია!“ ეს იყო 12 საათსა და 30 წუთზე, დარეკვამდე კი მატროსებმა უკვე მოახწრეს და ოკეანეში მაშველი ტივტივა გადაეგდეს.

სტეპანენკომ განგაში გამოაცხადა. ოკეანეში მაშველი ნავი ჩაუშვეს, რომელშიც ჩახტნენ მეორე თანაშემწე ნიკოლაი პოპოვი, გემის ექიმი ვიქტორ რაპოპორტი, რადისტი და მეზღვაურები, ადრე გადაგდებული წრიული ფერის მაშველი ტივტივა ორიენტირად წარმოადგენდა, ამით როგორც იქნა, ხაფრთხეში ჩავარდნილ ადამიანს მიაგნეს. იგი პოლანდიელი ტურისტი ვილჰელმინა ლანდაგატი აღმოჩნდა. თურმე ზედმეტად გადახრილა გემბანის მოაჯირზე და წყალში ამიტომაც გადავარდნილა.

დაზარალებულს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ა. ლიხტეროვი.
ა. ოგანოვი.

ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲠᲔ ᲚᲕᲝᲕᲨᲘ

ლვოვი, 3 ივნისი, (ტელეფონით). სინოპტიკოსებმა ლვოვში დღეს წვიმა და ჭექა-ქუხილი იწინასწარმეტყველეს და არც შემცდარან, პროგნოზი სწორი გამოდგა — დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა, ხოლო ნამდვილი ჭექა-ქუხილი საღამოს „დრუჟბას“ სტადიონზე ატყდა, როცა გათამაშების ლიდერი თბილისის „დინამო“ და აუტსაიდერი ლვოვის „კარპატი“ მინდორზე გამოვიდნენ.

დინამოელებს ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი აკლდა. მ. ხურცილავა და რ. ძოძუაშვილი ლვოვიდან გაიწვიეს სსრ კავშირის ნაკრებში, ხოლო მ. მაჩაიძე ტრავმის გამო თბილისში დარჩა. ამ შემთხვევაში გუნდის ხელმძღვანელობას რაც შეიძლებოდა საუკეთესო ვარიანტი უნდა შეერჩია.

თბილისელთა მეკარე გოგია უკვე მეოთხე წუთზე ჩაება თამაშში, როცა ლვოველთა ცენტრალური თავდასხმების ხიშაკის მიერ საჯარიმო ხაზიდან მარჯვენა დაბალ კუთხეში ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო. თამაშში უკომპრომისო იყო და მოწინააღმდეგენი თავგამოდებით იბრძოდნენ ყოველი ბურთისათვის. ხან ერთ და ხან მეორე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები. დინამოელთა ნახევარმცველ გავაშელს შეეძლო საჯარიმო მოედნის ხაზიდან დროზე დაარტყა კარში, მაგრამ ოდნავ დააყოვნა და დაკარგა გოლის გაბმანის კარგი შესაძლებლობა. მასპინძლები სახიფათოდ უტიფრდნენ ორივე ფრთიდან, მაგრამ ჩვენი მცველების — კანთარიაძის, ჭელიძისა და პეტრიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მათ კარში დარტყმის საშიშროებას არ აძლიერებენ.

ბუკაევის წინააღმდეგ, რომ ვერაფერს ვახდა, სიროლ აკრძალულ ილეთებს მიმართა. მსაჯი იძულებული იყო გაფრთხილება მიეცა მისთვის.

პირველი ნახევარი ლვოველთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. ისინი უტევდნენ მეორე ტაიმის დასაწყისიდანვეც. ამაში ბრალი მიუძღვის ნახევარდაცვას, კერძოდ გავაშელს, მაგრამ შეტევა დიდხანს არ გაგრძელებულა. თბილისელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. მე-60 წუთზე გუსაევის მიწოდებული ბურთი თავით კარიდან გაგზავნა. კარში ყიფიანმა, მაგრამ ლვოველთა მეკარე კოვაჩმა შეძლო მისი ალება. რამდენიმე წუთის შემდეგ კი თბილისელები გადარჩნენ აშკარა გოლს — ლიხაჩოვმა ცარიელ კარში ვერ მოახერხა ბურთის დარტყმა.

გავაშელის ნაცვლად რეზვიაშვილის გამოყენებამ თბილისელთა შეტევებს უფრო მეტი სიმძაფრე და სიმწვავე შემატა. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობები დაკარგეს გუსაევმა, გ. ნოდიამ და ყიფიანმა. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა მეკარე კოვაჩმა უშეცდომოდ ითამაშა. მატჩის შემდეგ მწვრთნელმა მსოლოდ მას დაუწერა ხუთიანი.

ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 0:0.

დინამოელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ: გოგია, გოგიჯანაშვილი, ჭელიძე, კანთარიაძე, პეტრიაშვილი, გავაშელი (რეზვიაშვილი), კუტიავაძე, ასათიანი, გუსაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მატჩს სჯიდა ბაქოელი მსაჯი ტ. ბასრამოვი.

ლუბლიორთა ასპარეზობაში ჯაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 30-ე წუთზე გაიტანა კრავჩენკომ.

ბ. ბასტურიძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ თითქმის ყველა გუნდი მონაწილეობდა მორიგ ტურში (მინსკის „დინამო“ დღეს უმასპინძლებს ლენინგრადის „ზენიტს“), დაიწყო ბაფუნელის პერიოდი „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის კოლექტივებისათვის.

ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ზარიამ“ საკუთარ მოედანზე მიიღო **დონის როსტოვის** სკა. გათამაშების ერთ-ერთი ლიდერისა და აუტსაიდერის ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ „ლინამოს“ მოსკოველი თანაკლუბელები ეწევიენენ. მატჩის შედეგია 1:0 სტუმართა სასარგებლოდ.

ᲑᲐᲥᲩᲘᲡ „ნეფტჩისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა 0:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ დებიუტანტს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ერევნის „არარატი“ ესტუმრა. ამ გუნდების პირველი პაექრობა დამთავრდა უშედეგოდ 0:0.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ითამაშეს ცსკა-მ და „ტორპედომ“. გაიმარჯვეს არმიელებმა 1:0.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

ᲤᲣᲐᲚᲒᲣᲠᲗᲘ. მინსკის საერთაშორისო ტურნირში ევროპის ძლიერ კოლექტივებთან ერთად მონაწილეობს საქართველოს ნაკრებიც. ასპარეზობის პირველ დღეს, 2 ივნისს ქართველმა წყალბურთელებმა დაამარცხეს სსრ კავშირის მეორე გუნდი 4:2.

ᲒᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. **ᲢᲣᲚᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲗ** მიმდინარეობს უძლიერეს მრბოლელთა საკავშირო შეჯიბრება. გამოდგენებით ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ტუფელმა თამარ გარკუშინამ საბილომიტრიანი დისტანცია დაფარა 3 წუთსა და 59,93 წამში, რაც 1,7 წამით უკეთესია ხარკოველი რაისა ობოდოვსკაიას საკავშირო რეკორდზე.

ო. ფხაკაძე, ხ. კრავცოვი და ი. ცელოვალნიკოვი საზღვარგარეთ იმყოფებიან. უამათოდ სპრინტერი პირველი ადგილი დაიკავა ტულელმა ბ. პეტროვმა. „საერთაშორისო“ დისტანციებზე კარგი შედეგები უჩვენა მსოფლიოს ჩემპიონმა ვ. რაპმ. ადგილიდან გიგზე 1000 მეტრი მან დაფარა 1.08,85 დროში გამოდგენებით 4 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა მინსკელმა ვ. ნაზარენკომ — 5.06,79.

ᲛᲔᲚᲑᲝᲣᲜᲘᲜᲒᲘ. სტოკჰოლმში შეკვეთის რეკორდი სმაღლეზე ხტომაში დაამყარა იან დალგრენმა, რომელიც 221 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაეკლო. 24 წლის მძლეთსანი მხოლოდ შარშან შეუერთდა „220 სანტიმეტრზე მხტომელთა კლუბის“ რიგებს. წელს კი ეს შედეგი (221 სმ.) მის გარდა მხოლოდ სამმა სპორტსმენმა უჩვენა — საბჭოთა მძლეოსნებმა ვლადიმერ აბრამოვმა, კ�ტუსის შაპკამ და ამერიკელმა რონ ჯორდანმა.

სახტომ ბილიკზე კვლავ გამოდის ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი 30 წლის ჯონ ტომასი. ფილადელფიაში გამართულ მძლეთსახთა ასპარეზობაზე მან 217 სანტიმეტრი ალაღლი და მხოლოდ ერთი სანტიმეტრი წაგო გამარჯვებულთან — თავის თანამეშამფელ კრის დანთან.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ ტურინში გაიმართა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ივანე ივანოვმა, რომელმაც 1.500 მეტრი 3 წუთსა და 37,8 წამში გაირბინა. წინანდელ რეკორდს ეჭირა წელიწადს ოთობდა ლინინგრადელი ოლეგ რაიკო და უდრიდა 3 წუთსა და 38,7 წამს. გარბენში ი. ივანოვის მთავარი მეტოქე იყო ევროპის ჩემპიონი იტალიელი ფრანჩესკო არეზე.

ᲡᲠᲝᲚᲐ. ამერიკაკვანეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ ლვოვსა და კრასნოდარში გამართულ შეიარაღებული ძალების ხელჩაკიდებულობაზე — მათ სამივე ღირსების — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ. ახლოვდება „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“ — ბრაზილიის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც ტყავის ბურთის ოლიარებული ოსტატები მიიღებენ მონაწილეობას. ასპარეზობისათვის ემზადება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების დებიუტანტი—აფრიკის ნაკრებიც, გუნდში გაერთიანებული არიან ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, განის, ალჟირის, კონგოს, კამერუნის, სენეგალის, სპილოს ძვლის ნაპირის, ტოგოს ფეხბურთელები. ნაკრებს წვრთნის ალჟირელი რ. მეკლუფი. აფრიკის გუნდმა გამართა „გენერალური რეპეტიციაც“ — დამარცხა მწვანე კონტინენტის ოლქის ფეხბურთელები — 2:1.

ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲗᲘ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან) 11.00 — ფერადი ტელევიზია. „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 12.15 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრკ ისტორიაში, 13.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის, მხატვრული ფილმი „ყვითელი ჩამოდნის თავგადასავალი“, 14.55 — „კინოფიშა“, 15.20 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 15.50 — დოკუმენტური ფილმი — „ერთი იდეის ისტორია“ — (ქართულ ენაზე), 16.20 — სატელევიზიო ფილმი — „შვილთან“, 16.55 — მსარდამხარ სპორტულ სარბიელზე“, 17.20 — კონცერტი, 18.00 — ფერადი ტელევიზია. კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ნაზიმ ჰიქმეთი“, 19.55 — „სსრკ-50“, მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნება — აზერბაიჯანი, 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამეცნიერო-პოპულარული კინოპროგრამა „ცოდნა“, 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.20 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ერემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ნატალია ბურმისტროვა.

მეორე პროგრამით

18.20 — სატელევიზიო დადგმა — „წარღვნა“, 20.15 — მხატვრული ფილმი „ციხე პავიაკის ლეგენდა“.

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — გადაცემა ციკლიდან: „ეს ყველამ უნდა იცოდეს“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — დოკუმენტური ფილმი, 19.20 — „სსრკ-50“ საბჭოთა მუსიკის საღამო (თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობით), 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი“, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ერემია“ — (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მეორე პროგრამით

17.35 — სკოლების დასახმარებლად — ხაზვა, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ტექნიკუმების მოსწავლეთათვის — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 19.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, 19.55 — ლექცია ზოგად ქიმიაში, 20.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდარბაზი“.

ᲗᲘᲐᲢᲠᲘ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

Შ. ᲤᲐᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (დღისით), დაისი (საღამოს); **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; **მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ურიელ აკოსტა (დღისით), სამი ასული და ტყის ქალები (საღამოს); **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — სიყვარული და ვარსკვლავები (პრემიერა).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲡᲙᲐ „ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲣᲞᲠᲘᲡᲢᲘ“ — 18.00 — „ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲠᲔᲑᲘ“ — 18.00 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘ“ — 18.00 — „ᲛᲔᲠᲪᲮᲚ